# მემორანდუმი

ქ.თბილისი, 26 სექტემბერი 2011 წელი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), მისი თავმჯდომარის სერგო წიქარიშვილის სახით, ერთის მხრივ, და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – სამსახური), მისი უფროსის ჯამბულ ებანოიძის სახით მეორეს მხრივ, ვთანხმდებით შემდეგზე:

## *1. მემორანდუმის საგანი*

მემორანდუმის მიზანია ორ უწყებას შორის თანამშრომლობის გამარტივება.

## *2. მხარეთა უფლება–მოვალეობები*

2.1 სააგენტო ვალდებულია:

საჯარო რეესტრის ელექტრონული გარანტიების პროგრამული უზრუნველყოფის (GREG) საშუალებით უზრუნველყოს ბანკების მიერ გაცემული საბანკო გარანტიების და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ლიცენზირებული მზღვეველების მიერ გაცემული დაზღვევის პოლისების შესახებ ელექტრონული ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება.

2.2. სამსახური ვალდებულია:

სააგენტოსაგან მიღებული ელექტრონული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ სამსახურეობრივი საჭიროებისამებრ.

## *3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის პირობები*

3.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს უვადოდ, მის მოშლამდე.

3.2. მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმის მოქმედება, თუ იგი შეწყვეტის შესახებ 15 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს.

## *4. დასკვნითი დებულებები*

4.1. მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

4.2. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობით გაფორმებული შეთანხმებით.

4.3. მემორანდუმიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

## *5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები*

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მისამართი: ქ. თბილისი,
წმ.ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. №2
ტელ.: (995 322) 25 15 28
ს/კოდი 202238621

თავმჯდომარე

სერგო წიქარიშვილი _____

სსიპ - შემოსავლების სამსახური

მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16
ტელ.: (995 32) 26 11 42
ს/კოდი 204525585

უფროსი
ჯამბულ ებანოიძე _____